



საქართველოს  
სახალხო დამცველი  
PUBLIC DEFENDER  
(OMBUDSMAN) OF GEORGIA

N 15-10/7796  
08/08/2023

7796-15-10-2-202308081208



საქართველოს იუსტიციის მინისტრს  
ბატონ რატი ბრეგაძეს

### წინადადება

მსჯავრდებულ **██████████** უფლებების დარღვევის თაობაზე N6 დაწესებულების  
თანამშრომლების მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის მიერ ჩატარებული შემოწმების  
შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“  
საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო რატი,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა N6 პენიტენციურ  
დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებულის, **██████████** განცხადებები, მოიპოვა და  
შეამოწმა საქმესთან დაკავშირებული ყველა რელევანტური და ოფიციალური დოკუმენტი,  
მათ შორის ვიდეოჩანაწერი. ყოველმხრივი შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ  
დარღვეულია პატიმრის უფლებები, რასთან დაკავშირებითაც მოგმართავთ წინამდებარე  
წინადადებით.

### ფაქტობრივი გარემოებები

სახალხო დამცველის რწმუნებულთან შეხვედრისას,<sup>1</sup> მსჯავრდებულმა **██████████**  
**██████████** მიუთითა, რომ 2023 წლის 2 მაისს იმყოფებოდა საცხოვრებელ საკანში, ეძინა,  
რა დროსაც მასთან შევიდა ციხის რამდენიმე თანამშრომელი. ის გააღვიძეს და გაუგებარი  
მიზეზით, დაიწყეს საკნის შემოწმება, შემდეგ კი, ჩაიყვანეს დეესკალაციის ოთახში.

მსჯავრდებულის განმარტებით, მას არ დაურღვევია რაიმე წესი და არც აგრესია  
გამოუხატავს. შესაბამისად, მისი დეესკალაციის ოთახში ჩაყვანის სამართლებრივი  
საფუძველი არ არსებობდა.

<sup>1</sup> საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულის 2023 წლის 4 მაისის შეხვედრა მსჯავრდებულთან.

ხსენებული ფაქტის შესწავლის მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა N6 პენიტენციურ დაწესებულებას და მსჯავრდებულის დეესკალაციის ოთახში მოთავსების შესახებ ბრძანება და მასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები გამოითხოვა.<sup>2</sup>

N6 პენიტენციური დაწესებულებიდან მიღებული დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად,<sup>3</sup> გაირკვა, რომ ამავე დაწესებულების დირექტორის მიერ 2023 წლის 2 მაისს მიღებული ბრძანება, დეესკალაციის ოთახში მოთავსების შესახებ ეყრდნობა დაწესებულების უსაფრთხოების განყოფილების უფროსისა და სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების კორპუსის ოფიცრის პატაკებს.

N6 დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების კორპუსის ოფიცრის პატაკში მითითებულია,<sup>4</sup> რომ 2023 წლის 2 მაისს, დაახლოებით, 18:36 საათზე საკანში შესულ მორიგე განწესის წევრებს მსჯავრდებულმა განუცხადა, რომ იმყოფებოდა ქრისტიანული სახელმწიფოს ციხეში და დაუყოვნებლივ მუსლიმანურ სახელმწიფოში არგადაყვანის შემთხვევაში, დაიმუქრა თვითდაზიანების მიყენებით.

მოსალოდნელი გართულების თავიდან აცილების მიზნით, პატაკის ავტორი თვლიდა, რომ აუცილებელი იყო ინტენსიური კონტროლის დაწესება პატიმარზე, სანამ ის არ დამშვიდდებოდა.

უსაფრთხოების განყოფილების უფროსის პატაკი კი, იმეორებს ზემოხსენებული ოქმის შინაარსს, ციტირებს მას და ასაბუთებს პატიმრის დეესკალაციის ოთახში მოთავსების მიზანშეწონილობას.<sup>5</sup>

ზემოაღნიშნული გარემოებების გადამოწმების მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის უსაფრთხოების მთავარი სამმართველოს ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობის სამმართველოს და მოითხოვა 2023 წლის 2 მაისით დათარიღებული საცხოვრებელი საკნის ამსახველი ვიდეოჩანაწერების დაარქივება.<sup>6</sup>

2023 წლის 9 ივნისს სახალხო დამცველის რწმუნებულის მიერ დათვალიერდა სპეციალური პენიტენციური სამსახურის N6 პენიტენციურ დაწესებულებაში იმ საცხოვრებელი საკნის შიდა და გარე სივრცის ვიდეოკამერების ჩანაწერები, რომელშიც მსჯავრდებული იმყოფებოდა დეესკალაციის ოთახში ჩაყვანამდე.

ვიდეოჩანაწერი ასახავს 2023 წლის 2 მაისს 17:00 საათის შემდგომ პერიოდს. მსჯავრდებული, ამ დროს იმყოფება საცხოვრებელ საკანში, სადაც ის გადაადგილდება მშვიდად, არ ავლენს რაიმე აგრესიას. ის გადაადგილდება ხან საპირფარეშოსკენ, ხან

<sup>2</sup> საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 15 მაისის N 15-10/4700 წერილი.

<sup>3</sup> N6 პენიტენციური დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 18 მაისის N 134571/23 წერილი.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> იქვე.

<sup>6</sup> საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 10 მაისის N 15-10/4645 წერილი.

ფანჯრისკენ, არ იქცევა გამომწვევად. რამდენიმე წუთში, ის თავისთვის იმზადებს მაგიდას, რათა მიიღოს საკვები და იწყებს ჭამას.

17:18 საათზე იღება სარკმელი, საიდანაც პატიმარს დამატებით მიაწოდეს საკვები. საკვების გადაცემის შემდეგ პატიმარი ბრუნდება მაგიდასთან და აგრძელებს ჭამას, ისე რომ არ შედის რაიმე კომუნიკაციაში დაწესებულების თანამშრომლებთან. სარკმელი ღია იყო 1 წუთისა და 10 წამის განმავლობაში. შედეგად, იქ მყოფი ციხის თანამშრომლებისთვის აღქმადი უნდა ყოფილიყო, თუ რა სიტუაცია იყო მსჯავრდებულის საკანში, ასევე აღქმადი იყო მსჯავრდებულის მშვიდი და აუღელვებელი ქცევა.

საკვების დასრულების შემდეგ, პატიმარი ალაგებს და ასუფთავებს მაგიდას. შემდეგ კი იქვე რჩება, ჯდება მაგიდასთან მდებარე სკამზე და იწყებს წიგნის კითხვას, რა დროსაც ზურგით ეყრდნობა კედელს.

18:27 საათზე იღება პატიმრის საცხოვრებელი საკნის კარი და შიგნით შემოდის დაწესებულების ერთი თანამშრომელი, მეორე კი კართან რჩება. თანამშრომელი პირდაპირ, ვერბალური და ვიზუალური კონტაქტის გარეშე, მიდის საკნის ფანჯარასთან და იხედება გარეთ. პატიმარი ამ მომენტშიც არის სრულიად მშვიდი, მას არ შეუცვლია ჯდომის პოზიცია, ისევ ზის და აგრძელებს კითხვას. შემდეგ, პატიმარი წიგნიდან იღებს პატარა ზომის ქაღალდს (ვიზუალურად კარტის ზომისა და ფორმის), რომლის ზუსტი დაიდენტიფიცირება ჩანაწერით ვერ ხერხდება. ხსენებულ ქაღალდს ის ატრიალებს თანამშრომლისკენ და მიმართავს მას, რასაც თანამშრომელი უყურებს 1-2 წამის განმავლობაში, შემდეგ კი, ხელის ქესტიკულაციით პასუხობს და ტოვებს საკანს.

მსჯავრდებულს და თანამშრომელს შორის არსებული მოკლე კომუნიკაცია გრძელდებოდა ჯამში 4-5 წამის განმავლობაში. მნიშვნელოვანია, რომ არც ამ დროს ყოფილა მსჯავრდებული აღელვებული, მას ჯდომის პოზიციაც კი არ შეუცვლია, სულ 2-3 სიტყვა უთხრა თანამშრომელს, რის შემდეგაც ის ქაღალდი, რომელიც ხელში ეჭირა, დაიდო საზარდულზე. დაწესებულების თანამშრომელი საკნის კარის გაღებიდან შიგნით იმყოფებოდა სულ 23 წამის განმავლობაში.

საკნიდან თანამშრომლის გასვლის შემდეგ პატიმარი აგრძელებს წიგნის კითხვას, რის შემდეგაც რამდენიმე წუთის განმავლობაში ისევ გადაადგილდება საკნის შიგნით. შემდეგ კი, წვება ლოგინში და იძინებს.

18:36 საათზე მსჯავრდებულის საკანში შედის დაწესებულების 3 თანამშრომელი. პატიმარს ეღვიძება, ქცევაზე ეტყობა, რომ არის გაკვირვებული, თუმცა ემორჩილება მითითებებს და დგება ფეხზე. თანამშრომლებმა, მას შემდეგ, რაც შეამოწმეს საკანი, ანიშნეს პატიმარს, რომ გაჰყოლოდა მათ, რასაც იგი ემორჩილება და მიჰყვება ყოველგვარი დამაბულობისა და აგრესიის გარეშე.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის გარემოება, რომ შემოწმება ჩატარდა ზედაპირულად. კერძოდ, არ დათვალიერებულა საპირფარეშო, ფანჯრის რაფა, საწოლზეც, მხოლოდ ერთ

მხარეს, ოდნავ გადასწიეს ლეიბი რამდენიმე წამით. შემოწმების პროცედურა, ჯამში, 2 წუთზე მეტხანს არ გაგრძელებულა.

### **სამართლებრივი დასაბუთება**

პირველ რიგში, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ პატიმრები იმყოფებიან ხელისუფლების ორგანოების სრული კონტროლის ქვეშ, რის გამოც მოწყვლადები არიან და იმ საფრთხის ქვეშ დგანან, რომ მათ წინააღმდეგ ძალაუფლებას ბოროტად გამოიყენებენ.<sup>7</sup>

სახელმწიფოს ისედაც უპირობო უპირატესობა გააჩნია მის იურისდიქციას დაქვემდებარებული პირებისადმი, ხოლო ეს უპირატესობა და ძალაუფლება განსაკუთრებით მოჭარბებულია, როდესაც პირი იმყოფება სახელმწიფოს ეფექტური კონტროლის ქვეშ. ასეთ ძალაუფლებას სჭირდება შემაკავებელი ბერკეტები და კონტროლი. სწორედ ამიტომ, არსებითი მნიშვნელობისაა, რომ ყველა სახის თვითნებობა და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება იყოს გამოვლენილი და რეაგირებული.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, თუ ბრალდებული/მსჯავრდებული საფრთხეს უქმნის ან შეიძლება შეუქმნას საკუთარ ან სხვის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას, შესაბამისი ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით, სამედიცინო პერსონალის რეკომენდაციის ან/და დაწესებულების უფლებამოსილი მოსამსახურის პატაკის საფუძველზე გამოცემული დაწესებულების დირექტორის ბრძანებით, იგი შეიძლება განთავსდეს დაწესებულების სათანადოდ აღჭურვილ დეესკალაციის ოთახში სამედიცინო პერსონალის უწყვეტი ხელმისაწვდომობის და დაწესებულებაში უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის 24 საათიანი ვიზუალური საშუალებებით მეთვალყურეობის პირობებში.<sup>8</sup> დაუშვებელია ბრალდებულის/მსჯავრდებულის დეესკალაციის ოთახში დასჯის მიზნით გადაყვანა.<sup>9</sup>

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეთა დისციპლინური წესდება განსაზღვრავს სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის ოფიცრებისა და რიგითების დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლებს, დისციპლინური სახდელების სახეებს, მოსამსახურისათვის დისციპლინური სახდელის შეფარდებისა და მოხსნის წესს.<sup>10</sup> მოსამსახურის დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთი სახეა სამსახურებრივი მოვალეობის ბრალეულად შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება და მოსამსახურეთათვის დადგენილი ეთიკის ნორმების დარღვევა.<sup>11</sup>

<sup>7</sup> ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო, სიცოცხლის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თანახმად, თბილისი, 2009, 57.

<sup>8</sup> „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N6 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს №108 ბრძანება, მუხლი 27, პუნქტი 1.

<sup>9</sup> იქვე, პუნქტი 6.

<sup>10</sup> საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 ოქტომბრის №144 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეთა დისციპლინური წესდება, მუხლი 1.

<sup>11</sup> იქვე, მუხლი 2, პუნქტი 2, ქვეპუნქტი „ა“, „ე“.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსი განსაზღვრავს სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის ოფიცრებისა და რიგითების ქცევის ისეთ სტანდარტებს, რომლებიც შეესაბამება საჯარო ინტერესს.<sup>12</sup> კოდექსის მიზანია ისეთი ქცევის წესების დადგენა, რომლებიც ხელს შეუწყობენ მოსამსახურეთათვის პასუხისმგებლობისა და სამართლიანობის პრინციპების განმტკიცებას, სამსახურებრივ მოვალეობათა პროფესიონალურ შესრულებას, ადამიანის უფლებათა დაცვას, საზოგადოებაში ნდობისა და პატივისცემის განმტკიცებას.<sup>13</sup>

მოსამსახურეს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რომ მას საზოგადოების წინაშე აღებული აქვს საჯარო სამსახურისათვის დამახასიათებელი ეთიკური ვალდებულებები.<sup>14</sup> მოსამსახურე ვალდებულია დაიცვას ბრალდებულის/მსჯავრდებულის, სხვა პირების საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები.<sup>15</sup> მოსამსახურემ მასზე დაკისრებული ამოცანები უნდა შეასრულოს კანონის ფარგლებში, მიუკერძოებლად, ეთნიკური, რელიგიური, სქესობრივი თუ სხვა ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე.<sup>16</sup> მოსამსახურის ხელმძღვანელი პირები ყურადღებით უნდა ადევნებდნენ თვალყურს, რომ მათი მოსამსახურეები სწორად ასრულებდნენ საკუთარ სამსახურებრივ მოვალეობებს. მათ უნდა გამოავლინონ და აღკვეთონ ნებისმიერი კანონსაწინააღმდეგო ქმედება.<sup>17</sup>

ყოველი მოსამსახურე, მიუხედავად მისი ადგილისა სამსახურებრივ იერარქიაში, პირადად აგებს პასუხს თავის ქმედებებზე და იმ დავალებებზე, რომლებსაც ის აძლევს მასზე დაქვემდებარებულ პირებს.<sup>18</sup> მოსამსახურე, როგორც სახელმწიფო წარმომადგენელი, ვალდებულია წინ აღუდგეს აშკარად უკანონო ბრძანებას.<sup>19</sup> მოსამსახურის მიერ კოდექსის მოთხოვნების დარღვევა ჩაითვლება სამსახურებრივი დისციპლინის დარღვევად.<sup>20</sup>

### **წინამდებარე საქმის ანალიზი**

მოცემულ შემთხვევაში, დეესკალაციის ოთახში პატიმრის გადაყვანას ფორმალურ საფუძვლად დაედო მისი მხრიდან აგრესიული ქმედება, კერძოდ, თვითდაზიანების მიყენების მუქარა. N6 პენიტენციური დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების კორპუსის ოფიცრის პატაკში აღნიშნულია, რომ მსჯავრდებული ითხოვდა სხვა დაწესებულებაში გადაყვანას. თუმცა, დაარქივებული ვიდეოჩანაწერების დათვალიერების შედეგად ნათელი გახდა, რომ დაწესებულების თანამშრომლების მიერ

<sup>12</sup> საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 ოქტომბრის №144 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსი, მუხლი 1, პუნქტი 1.

<sup>13</sup> იქვე, მუხლი 1, პუნქტი 2.

<sup>14</sup> იქვე, მუხლი 2, პუნქტი 1.

<sup>15</sup> იქვე, მუხლი 2, პუნქტი 2.

<sup>16</sup> იქვე, მუხლი 2, პუნქტი 4.

<sup>17</sup> იქვე, მუხლი 2, პუნქტი 7.

<sup>18</sup> იქვე, მუხლი 3, პუნქტი 3.

<sup>19</sup> იქვე, მუხლი 3, პუნქტი 4.

<sup>20</sup> იქვე, მუხლი 6.

მსჯავრდებულის დეესკალაციის ოთახში გადაყვანის შესახებ შედგენილი პატაკის შინაარსი არ ასახავს რეალობას.

ზემოხსენებული პირველ რიგში დასტურდება იმით, რომ ვიდეოჩანაწერის მიხედვით, პატიმარი ციხის თანამშრომლის შესვლამდე და შესვლის შემდეგაც იყო მშვიდი, არააგრესიული, არააღზნებული. ის არ გამოხატავდა რაიმე სახით პროტესტს, მას თანამშრომლებისთვის არც მიუმართავს, არამედ, იყო საკანში, მიირთმევდა საკვებს და კითხულობდა.

აღნიშნული სრულიად აღქმადი იქნებოდა იმ თანამშრომლებისთვის, რომლებმაც 2023 წლის 2 მაისს 17:18 საათზე მას შეაწოდეს საკვები. გარდა ამისა, ის ეპიზოდით, როდესაც დაწესებულების თანამშრომელი შედის საკანში, ასევე არ ასახავს პატიმრის რაიმე სახით აღელვებას, პროტესტს, მუქარას. ამას მოწმობს, როგორც მისი სხეულის ენა (არ საუბრობს ხელებით, არ იცვლის ჯდომის პოზას, არ არის დაძაბული), ასევე ის გარემოებაც, რომ ვიდეოჩანაწერზე გარკვევით ჩანს, რომ მსჯავრდებულმა ორი-სამი სიტყვა თქვა მხოლოდ და ისევ გააგრძელა წიგნის კითხვა. **დაწესებულების თანამშრომლის საკანში ყოფნა მხოლოდ 23 წამს გრძელდება, საიდანაც, კომუნიკაცია მათ შორის, მხოლოდ 4-5 წამს გრძელდება, რაც შესაძლებლობას არ ტოვებს იმ შინაარსის შესაქმნელად, რაც ზემოხსენებულ პატაკშია გადმოცემული.**

ყურადღება უნდა მიექცეს მსჯავრდებულის შემდგომ ქცევას, როდესაც თანამშრომელი გამოდის საკნიდან. ის ისევ აუღელვებლად აგრძელებს კითხვას, შემდეგ კი დასაძინებლად წვება. მისი სხეულის ენა, მოქმედებები თანამშრომლის შესვლამდე და გამოსვლის შემდეგ, კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ მისი მხრიდან არ ყოფილა არანაირი აგრესიული ქმედება და არ იკვეთებოდა თვითდაზიანების საფრთხე. მეტიც, როდესაც მსჯავრდებული გააღვიძეს და დაიწყო მისი საკნის შემოწმება, იგი ამ დროსაც ინარჩუნებს სიმშვიდეს, არ შედის კომუნიკაციაში თანამშრომლებთან.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ დეესკალაციის ოთახში მოთავსების საფუძველი არ შეიძლება იყოს პატიმრის დასჯა და ის აუცილებლად უნდა აკმაყოფილებდეს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პირობებს, რაც ამ შემთხვევაში ვერ დადასტურდა.

მიმართებით, გასათვალისწინებელია დამატებით ის კონტექსტი, რომელიც N6 პენიტენციურ დაწესებულებაში მის მიმართ არსებობს. კერძოდ, სახალხო დამცველის აპარატს მიმდინარე წელს უკვე რამდენჯერმე აქვს მიმართული სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტისთვის, ვინაიდან მსჯავრდებული უთითებს დაწესებულების თანამშრომლების მიერ მისდამი მტრულ დამოკიდებულებაზე, რაც, მისი მტკიცებით, ეთნიკურ და რელიგიურ კუთვნილებასთან არის დაკავშირებული და გამოიხატება მისდამი სისტემატურ სიტყვიერ შეურაცხყოფაში.<sup>21</sup> გარდა ამისა, მიმდინარე წელს სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში დაიწყო გამოძიება, N6 პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელთა მხრიდან [REDACTED] მიმართ

<sup>21</sup> საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 1 მარტის N 15-10/2181 და 2023 წლის 15 მაისის N 15-10/4699 წერილები.

განხორციელებულ, სავარაუდო, არასათანადო მოპყრობის ფაქტზე (სისხლის სამართლის N [REDACTED] საქმე).

მოცემული კონტექსტი კიდევ უფრო მწვავე საჭიროებას ქმნის N6 პენიტენციური დაწესებულების იმ თანამშრომელთა დისციპლინური წესით პასუხისმგებლობისთვის, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს მსჯავრდებულის დეესკალაციის ოთახში უსაფუძვლო განთავსებაში.

### დასკვნა

დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან პატიმრის მიმართ გამოვლენილი მსგავსი დამოკიდებულება ქმნის დაუცველობის განცდას, რაც შეუსაბამოა ადამიანის ღირსებასთან. ამდენად, მიმაჩნია, რომ სახეზეა დაწესებულების თანამშრომელთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის 21-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოგმართავთ წინადადებით, შესწავლილი დოკუმენტური მასალის საფუძველზე, დაიწყოთ დისციპლინური სამართალწარმოება მსჯავრდებულ [REDACTED] უფლებების დარღვევის ფაქტებზე და მიიღოთ კანონის შესაბამისი გადაწყვეტილება ყველა პასუხისმგებელი პირის მიმართ.

გთხოვთ, მოცემული წინადადების განხილვის შედეგები მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,  
ლევან იოსელიანი

სახალხო დამცველი

